

სივრცული და დროითი მიმართებების ამსახველი
 ზმინისართებისათვის ქართულში

სივრცე და დრო საზოგადოდ განიშარტება, როგორც მატერიის არსებობის ფორმები. თდითგანვე ამ კატეგორიებს ურთიერთმიმართებაში განიხილავდნენ.

ადამიანის მიერ დანახული ობიექტური სამყაროს სურათი თავისებურად ტრანსფორმირდება ენობრივ სისტემაში.

ნებისმიერი ენა სინამდვილის ფაქტებს ასახავს ლოგიკურ-სემანტიკური, ცნებითი კატეგორიების გავლით.

ცნებითი კატეგორიები — „სივრცე“, „დრო“ ლოგიკურ-ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ყველა ენისთვისაა დამახასიათებელი, რამდენადაც სივრცული და დროითი მიმართებანი არსებობს ობიექტურად, მთქმელისგან დამოუკიდებლად. მიუხედავად ამისა, ყოველი ენა სხვადასხვაგვარად ასახავს როგორც თვით სივრცისა და დროის თვისებებს, ასევე მათს ურთიერთკავშირსაც.

სივრცეში საგნის ადგილმდებარეობისა თუ მიმართულების, მოვლენის განვითარების დროითი შეფასება ენაში ორი ფაქტორის გათვალისწინებით ხდება:

ა) ევოცენტრულობა (ყოველი მოვლენა ხასიათდება მთქმელის პოზიციიდან; მთქმელი დგას ენაში ასახული სამყაროს ცენტრში);

ბ) სიტუაციურობა (მოვლენა ხასიათდება კონკრეტულ სიტუაციაში, მეტყველების აქტის მომენტში)¹.

ობიექტურ მიმართებათა ამსახველ ერთეულებს შორის განიყოფა ერთი ჯგუფი, რომელიც ასახითებს სივრცის სამგანზომილებიანობას. სამი ობოზიციური წყვალი: **ზევით — ქვევით, წინ — უკან, მარჯვნივ — მარცხნივ** ქმნის სამ სივრცულ დერძს, რომელიც ეკვალენტურაა რეალური სამგანზომილებიანი სივრცის კოორდინატ-

¹ С. Д. Кацнельсон, Содержание слова, значение и обозначение, М., 1965, с. 6.

თა სისტემისა — მხოლოდ ერთი განსხვავებით: რეალურ სამყაროში კოორდინატთა სათავედ შეიძლება ავიღოთ სივრცის ნებისმიერი წერტილი, ხოლო ენაში ათვლის წერტილად მივჩნევი უნდა ვივარაუდოთ; სამი სივრცული ღერძის (წინ — უკან, მარჯვნივ — მარცხნივ, ზევით — ქვევით) გადაკვეთის წერტილი არის მიქმელი, ხოლო მთლიანობაში იქმნება კლასიკური სამგანზომილებიანი (კოორდინატთა სისტემის ადეკვატურა) ენობრივი სისტემა.

ნებისმიერი საგნის განსაზღვრა სივრცული თვალსაზრისით კოორდინატთა ამ სისტემაში ხდება: „ზევით“ მყოფი საგანი იმდენადაა „ზევით“, რამდენადაც ეს განისაზღვრება მიქმელის მიერ.

ენობრივ მოვლენებზე საუბრისას სივრცისა და დროის კატეგორიები არ უნდა განიხილებოდეს ფიზიკური თუ ფილოსოფიური თვალსაზრისით, რამდენადაც ენათმეცნიერებას კვლევას თავისი ასპექტები გააჩნია, ფიზიკასა და ფილოსოფიას — თავისი; კლასიკურ ბერძნულ ფილოსოფიაში (პლატონი, არისტოტელე, ეპკლიდე) ყოველივე არსებულის პირველწყაროს სივრცე წარმოადგენდა, დრო კი მათთვის მეორე პლანზე ინაცვლებდა; ძველებზე ფილოსოფიურ აზროვნებაში საპირისპირო მოვლენა დასტურდება (დროის ცნების წინა პლანზე წამოწევა). ეს, რასაკვირველია, ფილოსოფიური ასპექტებია, სხვადასხვა ფილოსოფიურ სისტემებში სივრცისა და დროის ურთიერთმიმართების ასახვა. ამას გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება ზოგადად ენობრივი ასახვის პროცესში, მაგრამ არ წარმოადგენს განსაზღვრელ ფაქტორს. სივრცისა და დროის ცნებათა ენობრივი ასახვის თვალსაზრისით საყურადღებოა სლავურ ენათა მონაცემები. ა. მეიე დროის აღმნიშვნელ სიტყვას (время) აკავშირებს სივრცული მიმართების ამსახველ სიტყვასთან (wert-men — გზა, მოსახვევი); ამასთან, ცნებები „გზა“ და „ბრუნვა“ წარმოადგება „ბორბლის“ ცნების გადააზრების შედეგად².

მკვლევრებს ეს დაკავშირება იმის დამადასტურებლად მიაჩნიათ, რომ დროითი ცნებები სივრცულის გადააზრების შედეგად წარმოიშვა. „სივრცე→დრო“ გადასვლის დასასაბუთებლად მოჰყავთ ლოგიკური წანამძღვარიც: პირველად, როგორც ჩანს, ჩამოყალიბდა სივრცის კატეგორია, რადგან იგი გვეძლევა უშუალოდ მხედველობის, მოძრაობისა და შეხების შეგრძნებათა მეშვეობით, დრო კი გვეძლევა

² А. Мейе, Общеславянский язык., М. 1951, гл., 113. არსებობს განსხვავებული თვალსაზრისიც: სიტყვა время მომდინარეობს времн (-დუს) ბირასაგან, რომელიც ლათინური tempus (-*temp-დრო, ზტორში) სიტყვის ანალოგიურია: об. Ю. В. Откупщикова, Из истории индоевропейских словообразований, М., 1967, гл. 197.

მეხსიერების საშუალებით. სივრცული მნიშვნელობების დროითში გადასვლის ფაქტები ქართველური ენებისთვისაც არ არის უცხო³.

არსებითად გვეჩვენება არა სივრცე-დროის პირველადობა-მეორეულობის საკითხი, არამედ ენაში ასახვა მათი ძირითადი თვისებებისა: ენაში დრო ასახება როგორც ერთგანზომილებიანი, ხაზოვანი, შეუქცევადი, წარსულიდან მომავლასკენ მიმართული აწმყოს გავლით⁴.

ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ დროით მიმართებათა ასახვისას ყოველთვის განმსაზღვრელია სუბიექტური ფაქტორი. ადამიანის პრაქტიკულ მოქმედებაში დროის დაყოფა ხდება სუბიექტურ დროის ღერძზე: ყოველი პროცესი განიხილება ან უშუალოდ მეტყველების აქტის მომენტთან, ანდა ამ ღერძზე მარჯვრად აღებული რაიმე სხვა მოვლენის მოხდენის მომენტთან მიმართებით. ამ თვალსაზრისით, გვაქვს ე. წ. „აბსოლუტური“ და „ფარდობითი“ დრო⁵.

ო. იესპერსენს დროის ღერძი წარმოდგენილი აქვს, როგორც პორიზონტალური ხაზი. ამ ხაზს მიმართულება აქვს მარცხნიდან მარჯვნივ. მოძრავი წერტილით აღინიშნება აწმყო, მეტყველების მომენტი⁶.

სხვადასხვა ენის ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ დროის სივრცული წარმოდგენისათვის არსებითია მისი სწორხაზოვანი ბუნებისა ხაზგასმა; არა აქვს მნიშვნელობა, დროითი მიმართების ამსახველი ერთეული წარმოშობით პორიზონტალურ ღერძზე იქნება სივრცული მიმართების გამომხატველი, თუ ვერტიკალურზე⁷:

	სივრცე	დრო
ძველებრაული:	quadam — „წინ“	— წარსული
	abarit — „უკან“	— მომავალი
ლათინური:	superior — „ზედა“	— წარსული
	inferior — „ქვედა“	— მომავალი ⁸

ქართულ ენაში მომავლის სემანტიკას „ზევით“ მიმართების ამსახველი ერთეულებიც ასახავენ (შდრ. ლათინურის ვითარება, სადაც საწინააღმდეგო სურათია):

³ ლ. აბუ ლაძე, დროის სემანტიკური ცვლის შესახებ: ივე, ტ. 25, თბ., 1986, გვ. 6.

⁴ არნ. ჩიქობავა, ზოგი სიტყვის მნიშვნელობის განვითარებისათვის ძველ ქართულში: სპან, ფსიქოლოგიის ინსტიტუტის კრებული ფსიქოლოგია, 1944, ტ. 3, გვ. 489; ლ. აბუ ლაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 7 და შმდ.

⁵ O. Espersen, *Философия грамматики*, М., 1958, с. 300.

⁶ ლ. აბუ ლაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 7.

⁷ O. Espersen, დასახ. ნაშრ., გვ. 330.

⁸ ლ. აბუ ლაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 10.

⁹ А. Г. Григорян, *Некоторые проблемы системного и исторического изучения лексики и семантики*: ВЯ, 1983, № 4, с. 59.

დღეს რვა წლის ზევით იყის ყველაფრის წერა-კითხვაო (ვაგან. მარტ.). ხვალ-
ზევით აქ ექნები მზემოსვლისთვის (ფშ. დიალ.). დღეს დაგლიო, ხვალ რაღა გქნას
ხვალ დაგლიო — ხვალ ზე დათ! (ძიანულ. დიალ.), ხვალ ზევით ვაედივართ
(გ. რა.)¹⁰.

საინტერესოა, რომ „ქვევით“ მიმართების გამოხატველი ერთე-
ულები ქართულში (და საერთოდ, ქართველურ ენებში) დროით მნი-
შვნელობებს ვერ გადმოსცენენ.

დროით მიმართებათა სივრცული წარმოდგენებით ასახვისას გარ-
კვეთული შეზღუდვები არსებობს; ვერძოდ, „მარჯვენა — მარცხნივ“
მიმართების ამსახველი ერთეულები არ იხმარება დროის გაგებით.

საყოველთაოდ ცნობილია ის ფაქტი, რომ დრო ასიმეტრიული,
ცალსახა და მიმართულია, ადამიანისთვის კი მარჯვენა და მარცხენა სა-
მეტრიოლია: ამდენად, დროის ასიმეტრიულობის გაზარება კრძალავს
ამ ზმნისართთა გამოყენებას დროით მიმართებათა ენობრივი ასახვის
ფუნქციით.

ძველებრაულში (იხ. ზემოთ), რუსულში (შდრ. *впередь, впе-
рди, прежде* და, საერთოდ, მსოფლიოს სხვადასხვა ენებში, მეტად
პროდუქტიულია წინ, უკან მიმართების ამსახველი ერთეულების ხმარე-
ბა დროითი მნიშვნელობით, ანალოგიური ვითარება გვაქვს ქართულში.

ძველი ქართული:

რომელი იქმნა წინათ ებისკოპოს (სინ). რომელ არა წინავე მთვედ
(ლ. მრავ.). რომელსა-იგი წინათვე ვხედვედ (ჭილ. ეტრ.). წინაწარმეტყუელნი
წინავე იტყოდეს თქუნესა სირცხვლსა (სინ.).

თანამედროვე სალიტერატურო ქართული:

წინად ქათმებისგან გადაქეილი იყო (ვაგა). მსუკან დასჩემდა და წინე-
თაც ასე იყო (აკაკი). საუქუნეთა წინ დაიბადა ბავშვი (ნ. ლორთქ.). ერთი თვის
წინავე იტყოდეს თქუნესა სირცხვლსა (სინ.).

ასევეა ქართული ენის დიალექტებში:

წინავე ხის გუთნები იყვის (მობ. დიალ.). უწინავე აფხუშო ხალხით სავსე იყო
(ფშ. დიალ.). წინ-წინ უნგალის მიდამოეფს ქრქმევია შირვანი (ქართლ. იმნ.).
პური კამის წინ პატარასოდ ხელწყალს მიუტანდაეე კაცებს (რაჭ. დიალ.)¹¹.

¹⁰ ანალოგიური სურათია ზანურში: „ართი წინაში ე შეევა ვორდითა ქყელინი
ვა რშემიავთ?“ (ხუბ.) — ერთი წლის ზევით რომ ვიყავით დაწყვეილი, არ
ვახსოვსო?...

¹¹ ზანურსა და სვანურშიც წინ მიმართების გამოხატველი ერთეულები წარ-
სულის მნიშვნელობით იხმარებიან; ზანურში: „წოხოლე გამარჯვება ვართ იქე-
უწუე“ (ი. ჯიფშ.) — წინ გამარჯობა არც იმან უთხრა; „სი ვათოსუმი წინას წო-
ხოლე იყვილუშა ბოში თჯღონინი“ (ხუბ.) — შენ ცამეტი წლის წინ მისაკლავად

რაც შეეხება **წინ** ზმნისართის ანტონიმურ ზმნისართს — უკან, მის შესახებ სპეციალური გამოკვლევა არსებობს⁸².

შ. აფრიდონიძე აღნიშნავს, რომ „**წინ** და **უკან** ერთმანეთს უპირისპირდება არა მარტო ადგილის მნიშვნელობით, არამედ დროითი მნიშვნელობითაც“¹³.

მართლაც, ზმნისართი **უკან** გამოხატავს მომავალს როგორც სალიტერატურო ქართულში, ასევე დიალექტებში.

თანამედროვე სალიტერატურო ქართულში:

თორმეტს დღეს უკან მოვიდნენ (რ. ერისთ.). რა ილაპარაკეს მას უკან, არ ვიცი (ილია). მას უკან დანარჩენზე ვიზრუნოთ (ვფავ).

ქართული ენის დიალექტები:

მასკან ხენწიფემ დაუძახა მეცხვარეს (აჭარ.). ერთ საათს უკან შეკაზმევდენ ყრობოი (რაჭ.) გაწმენდას უკან ნავში ვყრუთ (ინგილ.). მას უკან დამრჩალი არის აჭა (მოხ. ქავთ.)¹⁴.

შ. აფრიდონიძე შენიშნავს უკანასკნელი ხანების ქართულ პრესაში ანტონიმური **წინ** და **უკან** სიტყვების სინონიმური ხმარების ტენდენციას, უფრო ზუსტად, **უკან** სიტყვმა საპირისპირო მნიშვნელობით ხმარების ტენდენციას:

ოთხი წლის უკან (=ოთხი წლის წინ); ერთი კვირის უკან (=ერთი კვირის წინ)...

ამ მაგალითებში **უკან** ნახმარია „წინათ“, „ადრე“-ს მნიშვნელობით. მკვლევრის აზრით, ეს გარემოება ერთგვარად საეჭვოს ხდის **წინ** და **უკან** სიტყვების ანტონიმურობას, საკითხის ნათელსაყოფად შ. აფ-

ბიჭი გაგზავნე „წოხლეკა თურქი ტია (კარტ.) — წინათ თურქი იყავიო; სეანთური: „აღ ვემ ამისგებდ აღჩემნა“ (ბზ. კაქარ.) — ეს საქმე ამასწინათ მოხდა; „აედარ სგობინ იბნებ ბივილდ ლაბენალს“ (ლაშხ.) — აედრის წინ იწყებს მტვერი ფრენას...

¹² შ. აფრიდონიძე, თანდებულად გამოყენებული ზოგი ზმნისართის ერთი თუნქციისათვის: ქსკს, VI, თბ., 1984, გვ. 244—258.

¹³ იქვე, გვ. 245.

¹⁴ უკან მიმართების ამსახველი ზმნისართები ზანურშიც ნომავლის ვაკვებით იხმარებიან: „ეთ ხლამს თქაჩხე მკუჟანი ობერგუ ქოგეეოკი“ (ჭან.) — ათი დღის უკან (მერე) მეორედ თობნა დაფიწყე; „ეფეკ, თქაჩხე დოსტი მუში ნოლაში დუქჰანიშა შენდახთუ“ (ელ.) — არა უწავს, უკან (შემდეგ) მისი მოყვარე დუქჰანიშა წაეიდა...

სენაურში უკან მიმართების გამოხატველი ზმნისართებისა და დროის ლო ზმნისართის შედგენლობაში საერთო ძირი გამოყოფა; შდრ.:

„ლო შდ ატახ მიჩა წგხო“ (სუ. პოეზ.) — უკან წავიდა თავის სახლში, და: „ქორწილგნლო აბადს“ (ლაშხ.) — ქორწილის მერე წავიდნენ.

რედონიძე საჭიროდ მიიჩნევს დამატებითი მასალისა და არგუმენტაციის მოხმობას აღნიშნული სიტყვების ისტორიის გათვალისწინებით¹⁵.

წინა და უკანა (←უკუანა) სივრცული მიმართებების ასახვის თვალსაზრისით ყოველთვის უპირისპირდებოდნენ ერთმანეთს. რა ვითარებაა დროითი მნიშვნელობის უკან (←უკუანა) სიტყვის ხმარებისას ძველ ქართულში?

ძველი სალიტერატურო ქართულიათვის უკან სიტყვის ხმარება „მერპისობის“, „შემდგომობის“ გაგებით საზოგადოდ არ იყო დამახასიათებელი. ამ მნიშვნელობას, ჩვეულებრივ, გადმოსცემდნენ ზმნისართები: **მერმე (მერე)**, **შემდეგ (შემდგომ, შემდგომად)** და სხვა. უკუანა ზმნისართი ფუძის სახით დროის ამსახველად არსად არ გვხვდება. თითო-ორთა მაგალითში დასტურდება მისი ხმარება კომპოზიტში (**უკანაახსენელ**) ან ნათესაობითის ფორმით (**უკუანაახს**)¹⁶. ორსავე შემთხვევაში, გარდა მნიშვნელობისა „მერე“, იგი გადმოსცემს აგრეთვე სემანტიკას „ბოლოს“.

უკან ფორმის ხმარება „შემდეგ“, „მერე“ სემანტიკით უკვე „რუსუდანიანის“ ტექსტში გვხვდება: „სამს დღეს უკან“, „სამ თვეს უკან“; შემდეგ მისი ხმარების არე უართოვდება და ამ მნიშვნელობით იხმარება როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს დიალექტებში და ამ კუთხებიდან გამოსულ მწერალთა თხზულებებშიც:

მას უკან ხშირად იტყოდა ხოლმე (აკაკი). მერე მას უკანი გაჩა ყველაფერი (რაჭ. დიალ.). საათს უკან (რაჭ. დიალ.). მასკან (აქარ. დიალ.)...

განსაკუთრებით საინტერესოდ მიგვაჩნია ამ სიტყვის ხმარება ისეთ სპეციფიკურ დიალექტში, როგორცაა ფერეიდნული:

გახამ უკან (ფერდ. დიალ.) რაქთენ დღეს უკან (ფერ. დიალ.). გახამის უკანო (ფერ. დიალ.)...

სალიტერატურო ენის ნორმების თვალსაზრისით დაუშვებელი არ უნდა იყოს უკან სიტყვის ხმარება დროითი მიმართების გადმოცემის პროცესში — იგი ბუნებრივია ქართული ენის დასავლური და აღმოსავლური (მათ შორის მთის) კილოებისათვის და, შესაბამისად, ამ კილოთა წარმომადგენელ მწერალთა ენისათვის.

სხვა საკითხია უკან სიტყვის ხმარება წინ ზმნისართის სინონიმური მნიშვნელობით (ტემპორალურ ასპექტში).

ამ შემთხვევაში უეჭველად უნდა გავითვალისწინოთ მონათესავე ენათა მონაცემები. კერძოდ, ზანურის მეგრულ დიალექტში ზმნისართი უკანადე (=უკან) სწორედ წოხოლე (=წინ) ზმნისართის სინონიმური მნიშვნელობით იხმარება (უფრო ზუსტად, წოხოლე-თი სიტყვაიტყვით

¹⁵ შ. აფრედონიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 246.

¹⁶ იქვე, გვ. 248—249.

გადმოიცემა წინათ ზმნისართი, ხოლო „...წლის წინ“ სიტყვათშეხამების შესატყვისად ხანურში გამოიყენება „...წანაშ უკახალე“.

ჟარნის წანაშ უკახალე მუჟო ორდენ უმინჯერი (სამ.) — ორმოცი წლის უკან (წარსულში — კ. გ.) როგორ იყო უპატრონო...

ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ დროის ღერძი მთლიანად სუბიექტურია და ყოველი მოვლენა მთქმელთან მიმართებით განიხილება. როგორც ჩანს, ამ შემთხვევაშიც დროის ღერძის სივრცული გააზრება მთქმელის მიერ განისაზღვრება: თუ იგი წარსულს წარმოიდგენს, როგორც განვლილ ვხას („უკან“ მიმართება სივრცული თვალსაზრისით), მაშინ უკან ზმნისართი წარსულის ამსახველია. შესაბამისად, ეს ზმნისართი მომავლის გამომხატველი იქნება, თუ მთქმელი წარსულისკენ „გაიხედება“ (იხ. „წინ“ მიმართება სივრცული თვალსაზრისით).

ამდენად, უკან ზმნისართის გამოყენება „უწინარესობისა“ თუ „მერმისობის“ გადმოსაცემად მთლიანად სუბიექტურ ფაქტორზე დამყარებით ხდება.

გამოთქმულია აზრი, რომ უკან ზმნისართის ხმარება საპირისპირო (წინ, ადრე, უწინ) მნიშვნელობით უნდა შეფასდეს, როგორც სხვა ენადან ბირდაპირ გადმოღების, კალკირების შედეგი¹⁷.

ერთი ძირის მქონე სხვადასხვა ფორმათა ხმარება საპირისპირო მნიშვნელობით უცხო არ არის სხვა ენებისათვისაც: „Корень „перед“ в русском ассоциируется в темпоральном плане с будущим временем (впредь, впереди), но наряду с этим продолжают существовать и сохраняют свою актуальность более древние представления, связывающие „перед“ с прошедшим временем (прежде, предок, перед чем-то)“¹⁸.

ამკარაა, რომ ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს ერთისა და იმავე სიტყვის არა უბრალოდ ორ განსხვავებულ მნიშვნელობასთან, არამედ ორ განსხვავებულ თვალსაზრისთან, რომლებიც წარმოადგენენ ორ სხვადასხვა სემანტიკურ სისტემას¹⁹.

ამგვარი, ერთი შეხედვით წინააღმდეგობრივი, სემანტიკური გადასვლები, როგორც ჩანს, ენის განვითარების შინაგანი კანონზომიერებებით არის შეპირობებული და მხოლოდ კალკირების პროცესით მოუღწევის ახსნა არ ჩანს მიზანშეწონილი; აქვე აღსანიშნავია, რომ კალკირების მტკიცებისას არც იმას გამოორიცხავენ, რომ შესაძლოა უნი-

17 შ. აფრიდონიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 255.

18 А. Г. Григорян, დასახ. ნაშრ., გვ. 59.

19 იქვე.

ფიკაციის ამ პროცესს ხელი შეუწყო უკან სიტყვის მნიშვნელობის დაკავშირებამ დაბრუნების სემანტიკასთან²⁰. (ე. ი. მისი ამ ფუნქციით ხმარება შესაძლოა ენის შინაგანი ბუნებიდან გამომდინარეობდეს).

რაც შეეხება იმ ფაქტს, რომ წინ მხოლოდ ერთი მნიშვნელობით იხმარება (ტემპორალურ ასპექტში), იმავე რუსულში — მართალია, საპირისპირო მნიშვნელობის მქონე სიტყვასთან — ანალოგიური პრინციპი შეინიშნება: **назад** გამოხატავს მხოლოდ წარსულს, **перед** კი ლაბილურია ამ თვალსაზრისით.

ხშირად წინ, უკან, ზევით, აქეთ, იქით და სხვა ზმნისართთა ხმარება დროის მნიშვნელობით სპეციალურ ლიტერატურაში სახელდება, როგორც „ზმნისართი თანდებულის ფუნქციით“.

ქართულ ენაში და, შესაბამისად, სხვა ქართველურ ენებში გარკვეული კანონზომიერებებით ხასიათდება სახელის ამა თუ იმ ბრუნვის ფორმასთან ზმნისართის სინტაქსური ურთიერთობა: სახელი მიცემით ან ნათესაობით ბრუნვაში ფორმდება.

ძველი ქართულისთვის დადგენილია წესი: სულიერის აღმნიშვნელი სახელი ნათესაობითში ფორმდება, უსულოს აღმნიშვნელი — მიცემითში²¹. ძველ ქართულშივე გხვდება აღრევა, მაგრამ ეს აღრევა ცალმხრივია: უსულოს აღმნიშვნელი სახელი, მიცემითის გარდა, ნათესაობითშიც ფორმდება, სულიერის აღმნიშვნელი სახელი კი მხოლოდ ნათესაობითში შეიძლება შეგვხვდეს.

ძველ ქართულში მიცემით ბრუნვაში დასმულ სახელს შეუძლოა ადგილის გამოხატვა თანდებულის გარეშეც:

აღმოვიდა ქუეყანასა ქართლისას (ლ. შროგ.) ყნამან უთხრა: „დაო ასმათ, ხიდნა ზღვასა ჩავიცივიდეს“ (ვტ)²².

მანასადამე, ზმნისართი აკონკრეტებს, აზუსტებს მოქმედების ადგილს²³. ბუნებრივი ჩანს, რომ ზმნისართი დართოდა იმ ბრუნვის ფორმას (მიცემითს), რომელიც თავისთავად ასახავდა ადგილს. ასეთ შემ-

20 შ. აფრილითიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 256.

21 ე. კეკელიძე, „წინაშე“, „თანა“ და „ზედა“ თანდებულო სინტაქსური ფუნქციისათვის ძველ ქართულში: ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. 1, თბ., 1956, გვ. 67.

22 ზანურსა და სვანურშიც მიცემით ბრუნვაში გაფორმებული სახელები სპეციალური ლექსიკური ერთეულების (ზმნისართი, თანდებული) დართვის გარეშეც ასახვენ ადგილს: ზანური: ართ დიხაა ქეკასერეს (ხუბ.) — ერთ მიწაზე შემოალამდათ; სვანური: თხუმაას ზურჩიას ესგვემე (სე. პოეზ.) — თავზე ზუქს დავიზურავ..

23 ე. გაბუნია, ზმნისართთა და თანდებულო ურთიერთმიმართების საკითხი ქართველურ ენებში: ბაცნე, ენისა და ლიტ. სერია, № 2, 1988, გვ. 103.

თხვევაში ზმნა-სახელის სინტაქსურ წყვილთან ზმნისართი დამხმარე მეტყველების ნაწილის ფუნქციით იხმარება.

ამ თვალსაზრისით ვერ აიასნება ნათესაობითი ბრუნვას ფუნქციონირების საკიობი.

ნათესაობით ბრუნვაში დასმული სახელი წინადადებაში მეტწილად სუბსტანციურ მსაზღვრელად გვევლინება. სინტაქსური ურთიერთობის სახე ორ სახელს შორის ასეთ შემთხვევაში ხასიათდება, როგორც მართვა²⁴.

რა კვალიფიკაცია უნდა მიეცეს ნათესაობითში გაფორმებულ სახელს ნაშინ, როცა იგი ზმნისართთან ერთად ადგილს ასახავს?

ზმნისართისა და სახელის ურთიერთმიმართების საკითხის ანალიზის დროს უნდა გაიმიჯნოს კვლევის მორფოლოგაური, სინტაქსური და სემანტიკური ასპექტები. სინტაქსურ მიმართებათა კვლევისას განმსაზღვრელი არ უნდა იყოს შინაარსობრივი მხარე; წინადადებებში: „ტახტის ქვეშ დაიმალა“ და „ტახტს ქვეშ დაიმალა“ — ერთი და იგივე სემანტიკაა გადმოცემული, სინტაქსურად კი სიტყვათა შორის ურთიერთობის სხვადასხვა სახე გვაქვს.

ზმნისართი ქვეშ (ისევე, როგორც სივრცულ მიმართებათა გამომხატველი სხვა ზმნისართები, თანდებულთაგან განსხვავებით) ცალკე, სახელის გარეშეც გვხვდება წინადადებაში:

რბილი და გრილი მდგომ სსსიპივნოდ მეფინა ქვეშ (აკაკი).

სინტაქსურად ქვეშ გარემოებაა და სინტაქსურ წყვილს ქმნის ზმნა-შემასმენელთან; ტახტის ქვეშ თავისთავად სინტაქსურ წყვილს წარმოადგენს, რომლის ცენტრალური წევრია ზმნისართი და არა სახელი ნათესაობით ბრუნვაში (*ტახტის დაიმალა არ წარმოადგენს სინტაგმას). ამდენად, ნათესაობითში დასმული სახელი არის ზმნისართზე დამოკიდებული წევრი — იგი ზმნისართის მსაზღვრელია.

ამრიგად, ზმნისართი ნათესაობით ბრუნვაში დასმულ სახელთან ერთად დამხმარე სიტყვად კი არ გვევლინება, არამედ სრულმნიშვნელოვანი სიტყვის სტატუსით გამოდის და გარემოების სინტაგმაში ნათესაობითში გაფორმებული სახელი-ზმნისართი ცენტრალურ წევრს წარმოადგენს — იგი ამყარებს სინტაქსურ ურთიერთობას ზმნა-შემასმენელთან.

²⁴ ლ. კვაპაძემ, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1977, გვ. 146.